ივნ 6, 153
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 132
წლიწადი მეორე
მთავრობის მოამბე
წლიწადი მეორე
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 1 მან.

# საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 19 ივნისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

**მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.**

**ხელის მოწერის ფასი:** ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

ტფილისის სასტუმროების, სასადილოების, მოწყობილ ოთახების რესტორანების და სხვათა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოების გამგეობა იმით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 22 ივნისს დილის 11 საათზე ქართული კლუბის დარბაზში დანიშნულია

## საგანგებო კრება

კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. განსახილველი საგანი 1. არჩევნები 11 გამგეობის წევრისა და მათი კანდიდატებისა.

მდივანი გამგეობისა **რაზმაძე.**

794 1—1

გამგეობის თავმჯდომარე **დ. მაჟავარიანი**

## მიწათ-მოქმედების სამინისტრო

## აგრარულ რეფორმათა განყოფილება

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ივნისის პირველიდან მიწის მიმღები და განმაწილებელი კომისიები მუშაობას შეუდგენ ყველა მაზრებში.

აპრილის 15, ინსტრუქციის მესამე მუხლის თანახმად: „კომისიის მოქმედებაზე საჩივარი შედის სარაიონო კომისიაში **ერთი კვირის გადაში დღიდან** აქტის დადგენისა. სარაიონო კომისია დაუყონებლივ იხილავს საჩივარს და თავისი დასკვნით გადაუგზავნის სათანადო ერობის გამგეობას საბოლოო დადგენილების გამოსატანად. ერობის გამგეობა **ერთი კვირის გადაში,** დღიდან საჩივრის მიღებისა, ატყობინებს თავის დასკვნას სარაიონო კომისიას". ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აგრარულ რეფორმათა განყოფილება წინადადებას აძლევს დაინტერესებულ პირებს პირადათ, ან რწმუნებულების სახით ადგილობრივ დაესწრონ კომისიებს მუშაობის დროს და ყოველი საჭირო ახსნა-განმარტებანი წარუდგინონ მას.

**აგრარულ რეფორმათა განყოფილება.**

1081 3—2

იბეჭდება:

თაგუნა

წიგნი I

4—1

**გამოვიდა და იყიდება**

გერონტი ქიქოძის წიგნი
„ეროვნული ენერგია"

**ფასი 25 მან.**

## ოფიციალური განყოფილება.

## კანონი

**დაზარალებულ მეომართა და იმათ ოჯახების დახმარებისა.**

1. დროებითი წესები—დახოცილ ან მუშაობის უნარ-დაკარგულ სამხედრო პირთა, სახალხო გვარდიელთა, მოხალისეთა და იმათ ოჯახების უზრუნველყოფისა, — გამოცემული საქართველოს პარლამენტის მიერ 1919 წლ. იანვრის 31, (კანონ. კრებული 1919 წ. № 5, კანონ. მე-36) გავრცელებულ იქნეს აგრეთვე შინაურ თუ გარეშე ბრძოლაში, ან თავის მოვალეობის აღსრულების დროს დაზარალებულ აღნიშნულ მეომრებსა და იმათ ოჯახებზე.

2. ეს წესები გავრცელებულ იქნეს ყველა დაზარალებულზე 1818 წლის იანვრის პირველიდან.

3. კანონი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1819 წ. ივნისის 10.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია**

## დეკრეტი

**ტფილისის ქალაქის თვითმართველობისათვის ათი მილიონი მანეთის სესხის მიცემისა.**

1. მიეცეს ტფილისის ქალაქის თვითმართველობას სახელმწიფოს ხაზინიდან სესხად ათი მილიონი მანეთი ათი წლის ვადით წლიურად 6 პროცენტის სარგებლისა და ერთი მილიონი თავნის გადახდით. ამ სესხის უზრუნველსაყოფელად მიღებულ იქნეს გირაოდ ქალაქის უძრავი ქონება.

2. გაიხსნას მთავრობას ათი მილიონი მან. კრედიტი პირველ მუხლში აღნიშნულ სესხის გასაცემად.

3. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 10.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხან. **ალ. ლომთათიძე**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## ნუსხა

**დამატება კანონის მე-2 მუხლისა.**

**ერთ დესეტინაზედ დაწესებულ სახელმწიფო ერთდროულ გადასახადისა**

| №№ რიგზე. | სახელწოდება მაზრისა (ოლქისა). | ერთ დესეტინაზე დაწესებულ გადასახადის რაოდენობა მანეთობით. | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ურწყავი მიწა. | | | ვენახები | | | ხეხილის ბაღები. | დაფნა. | თამბაქოს პლანტაცია. |
| | | 1 ხარ. | 2 ხარ. | 3 ხარ. | 1 ხარ. | 2 ხარ. | 3 ხარ. | | | |
| 1. | ქუთაისის მაზრა . . . . | 100 | 70 | 30 | 115 | 75 | 45 | — | 100 | — |
| 2. | ზუგდიდის „ . . . . | 100 | 80 | 40 | 60 | — | — | — | 100 | 100 |
| 3. | ლეჩხუმის „ . . . . | 50 | 30 | 15 | 100 | 50 | — | — | — | — |
| 4. | ოზურგეთის „ . . . . | 90 | 60 | 30 | 90 | 40 | — | — | — | 100 |
| 5. | რაჭის „ . . . . | 50 | 30 | 15 | 120 | 60 | 30 | — | — | — |
| 6. | სენაკის „ . . . . | 100 | 80 | 30 | 100 | 40 | — | — | 100 | — |
| 7. | შორაპნის „ . . . . | 70 | 45 | 20 | 115 | 60 | 40 | — | — | — |
| 8. | [illegible] | 105 | [illegible] | 50 | 90 | 70 | 40 | 120 | 90 | 125 |

**შენიშვნა:** რაჭის მაზრის სამოსახლო და სათიბი მიწები სათანადო ხარისხის სახნავ მიწებს უდრის.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

1919 წ. მაისის 27.

**რედაქციისაგან:** გუშინდელ ჩვენს გაზეთში (№ 131) მოთავსებული ნუსხა დესეტინაზე დაწესებულ სახელმწიფო გადასახადისა,—თავის შენიშვნით, რომ ეს დამატებაა კანონის მე-2 მუხლისა,—ეკუთვნის იმ კანონს, რომელიც დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის № 130 შემდეგი სათაურით: „კანონი ხაზინის შემოსავლის გასაძლიერებლათ ზოგიერთ ღონის ძიების მიღებისა". ეს დღევანდელი ნუსხაც ამ კანონს ეკუთვნის.

**რედ.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## სახალხო განათლების სამინისტროში.

### მომავალი ექიმები.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აცნობა განათლების სამინისტროს, რომ უნივერსიტეტმა იქონია მსჯელობა სამკურნალო საგნებში სახელმწიფო გამომცდელ კომისიების მოწყობის შესახებ და დაადგინა შემდეგი:

სახელმწიფო გამოცდების მოწყობა სამკურნალო საგნებში იმ პირთათვის, რომელთაც ათი სემესტრის მოწმობა აქვთ მიღებული, შესაძლებელი იქნება შემოდგომაზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა დაეხმარება უნივერსიტეტს რუსეთის სხვა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან მოწვეული პროფესორები დროზედ ჩამოვიდნენ ტფილისში და შეუდგენ თავიანთ თანამდებობის აღსრულებას. მოწვეული პირნიქორიან შემდეგნი: ალექსანდრე ალადაშვილი (ხარკოვის უნივერსიტეტიდან), სიმონ ამირეჯიბი (ხარკოვიდანვე), პარმენ ჭეიშვილი (იქიდანვე), ნიკოლოზ კახიანი (ეკატერინოსლავიდან), ივანე ბერიტაშვილი (ოდესიდან) და შალვა კრინიცკი—დარახველიძე (დონის როსტოვის უნივერსიტეტიდან).

რაც შეეხება მეორე ხარისხის ექიმებს (заурядъ-врачи второго разряда), მათთვის ფაკულტეტი სავალდებულოდ სცნობს, რომ მოისმინონ მოკლე ვადიანი ერთი წლის კურსი უმთავრეს საგნებში, როგორც თეორიულად, აგრეთვე პრაქტიკული მუშაობითურთ და მხოლოდ ამის შემდეგ იქნებიან დაშვებულნი სახელმწიფო გამოცდებზე.

### დეპუტატები კერძო სასწავლებლებში.

უმაღლეს საშუალო სასწავლებელთა მთავარ გამგემ ს. დანელიამ ტფილისის ქალთა მესამე გიმნაზიის დირექტორს ევგენი ჭოლოშვილს მიანდო დასწრება პაპალოვისეულ კერძო რეალურ სასწავლებლის მოწაფეთა გამოცდებზე, ხოლო ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის ინსპექტორს-ნიკოლოზ ქუთათელაძეს ტროფიმენკოს კერძო გიმნაზიის ეგზამენებზე.

### ტფ. ფიზიკურ ობსერვატორიის რევიზია.

დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიამ გამოჰყო მცირე კომისია ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიის სარევიზიოდ. მცირე კომისიაში იყვნენ: პროფ. შალვა ნუცუბიძე, ნიკიფორე იმნაიშვილი და ბ. ბიული. ამ კომისიამ კოოპტაციის ძალით მოიწვია რევიზიაში მონაწილეობის მისაღებად ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. პეტრე მელიქიშვილი, იმავე უნივერსიტეტის პროფესორი ანდრია ბენაშვილი და ტფ. ქალთა პირველ გიმნაზიის დირექტორი მიხ. კონიაშვილი. სარევიზიო კომისიამ თავის მუშაობა დაიწყო 21 მაისს და დაასრულა 7 ივნის. შედეგი თავის მუშაობისა კომისიამ წარუდგინა დამფუძნებელ კრების სახალხო განათლების კომისიას და აგრეთვე სახალხო განათლების სამინისტროს.

### უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვა.

განათლების სამინისტროსაგან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვას ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისას 1919—1920 საბიუჯეტო წლისას სახელმწიფო კონტროლმა ასეთი დასკვნა მისცა, რაიც აცნობა ფინანსთა და სახალხო განათლების სამინისტროებს:

1919—20 წლის ხარჯთაღრიცხვა თვალსაჩინოდ აღემატება 1918 წლის ხარჯთაღრიცხვას, რაიც გამოწვეულია საპროფესორო ჰონარამის მომატებით, ისე პროფესორთა რიცხვის გამრავლებით. უწინ პროფესორობდენ 22 პირი, ეხლა 34 ამდეა ეს რიცხვი აყვანი-

ლი. ლექტორთა და ასისტენტების რიცხვი დღეს უდრის 60-ს ნაცვლად წინანდელის 17-სა კონტროლი ამის წინააღმდეგი არაა, ვინაიდან სამათემატიკო ფაკულტეტზე ახალი განყოფილება იხსნება, ხოლო დანარჩენ ფაკულტეტებზე არსდება ახალი კათედრები.

უნივერსიტეტიდან ხაზინადრის თანამდებობის დაარსება კონტროლს საჭიროდ არ მიაჩნია, რადგან უნივერსიტეტთან არავითარი ხაზინა არ უნდა არსებობდეს და შემოსული ფული დაუყოვნებლივ ხაზინას უნდა ეგზავნებოდეს, ამიტომ ხაზინადარზე ნავარაუდევი 1200 მანეთი ყოველ თვიურად უნდა ამოირიცხოს და მისი მოვალეობა მიენდოს საქმისმწარმოებელს.

უნივერსიტეტის ორგანოს და სხვა გვარ გამოცემებისათვის ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევია 266,000 მანეთი, შემოსავალი კი, რომელიც უნივერსიტეტს უეჭველად ექნება აღნიშნული სრულებით არ არის.

## დახმარება საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

როგორც მკითხველს ეხსომება, განათლების სამინისტრომ და მასთან შემდგარმა თათბირმა საჭიროდ სცნო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისთვის მიეცათ 120,160 მანეთი თვის მუშაობა-მოქმედების გაცხოველებისათვის. სახელმწიფო კონტროლმა შესაძლებლად სცნო ხსენებულს საზოგადოებას მიეცეს მარტო 93 ათასი მანეთის სუბსიდია, სახელდობრ:

მეცნიერ-მკვლევართათვის 23 ათასი მან., წიგნების გამოცემისათვის 40 ათასი მანეთი-წიგნებისა და ნივთების შეძენისათვის 20000 მანეთი, სამეცნიერო ექსკურსიების მოსაწყობათ 10 ათასი მანეთი, დანარჩენი საადმინისტრაციო ხარჯები კი, სახელმწიფო კონტროლის აზრით, თვით საზოგადოებამ უნდა დაჰფაროს თავისი წყაროს (სახელდობრ „შემოწირულებათა") გაძლიერებით·

## მაჩაიძისეულ გიმნაზიაში.

თფილისის კერძო მაჩაიძისეულ გიმნაზიის მოწაფეთა გამოცდებზე დასწრება განათლების სამინისტრომ დაავალა ტფ· მეხუთე გიმნაზიის დირექტორს ილია ჯიშკარიანს· ამ გიმნაზიაში წელს სწავლას ასრულებს 32 ახალგაზრდა·

## შინაგან საქმეთა სამინისტროში

### ყაჩაღობის ალაგმვის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბორჩალოს მაზრის კომისარს გაუგზავნა მიწერილობა, რომლითაც ატყობინებს, რომ თანახმად სამინისტროში მოსულ ცნობის, ბორჩალოს მაზრაში ამ უკანასკნელ დროს გახშირდა ყაჩაღობა და 18 ამ თვისას ალაგი ჰქონია ს. წერაქვში თავდასხმასა და მკვლელობას. კანცელარია წინადადებას აძლევს მიიღოს ზომები ბოროტ-მოქმედთა ასალაგმათ და წესიერების აღსადგენათ.

### თანხის დაბრუნების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა, სახაზინო რკინის გზათა მოძრაობის უფროს, რომ პასუხათ მიმართვაზე სახალხო გვარდიის საჭიროებისათვის სადახლოს ამბების დროს გზათა მოძრაობის ნაწილის მიერ დახარჯულ 8000 მან. დაბრუნების შესახებ, გვარდიის მთავარ შტაბიდან მოსულ ცნობით შესაძლოთ ვერ სცნობს დაუბრუნოს აღნიშნული თანხა, ვინაიდან სადახლოს ამბების დროს გვარდია ჯერ არ იყო დაკანონებული პარლამენტის მიერ და მას არც ჰქონია იმ დროს საკუთარი თანხა. ამიტომ შტაბის აზრით აღნიშნული შუამდგომლობა უნდა იქნეს დაკმაყოფილებული მთავრობის მიერ.

### სომხეთის რესპუბლიკიდან ფულის გატაცება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო სომხეთის რესპუბლიკის მთავრობისაგან, რომ სომხეთის რკინის გზის მოძრაობის ნაწილის აგენტმა სტანისლავ ლაპინსკიმ, რომელიც გამოემგზავრა პოლონეთის ლაშქარში ჩასაწერათ წამოიღო 5253 მან. სახელმწიფო ფული და არცა სჩანს სად იმალება.

### ყალბ ფულების მჭრელნი.

დუშეთის მაზრის კომისარი ბ. სარჯველაძე დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ჩისლამი რწმუნებულ დუშეთის მაზრაში მას აღმოუჩენია ყალბი ფულების მჭრელი მანქანა და სხვა და სხვა სალებავები, რომელსაც ამ დღეებში წარმოუდგენენ ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრს.

---

# ფრონტის დღე

ფრონტი დიდი ბავშვია: მას მცირედი გაამხნევებს და მცირედი დაალონებს.

ვ· ჯუღელი

ცოცხალ ჯავშნით აკრავს გარს ჩვენს ქვეყანას საუკეთესო შვილთა გულ-მკერდი. ისინი, ვისაც სათუთი, გრძნობიარე სინდისი და ვაჟკაცური შეუდრეკელობა მოსვენებას უკრთობს, სანამ სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია, თვეობით და წლობით დგანან ტყვიისა და სიკვდილის პირის-პირ.

ვინ არიან ისინი?

ვისაც თვის გულში სიყრმიდან ჭაღარამდე ჩაგრულთა განთავისუფლების წმინდა იდეა უზრდია, და განთავისუფლებული საქართველო უყვარს, როგორც განთავისუფლებულ ჩაგრულთა ნავთ-საყუდელი:

ვისაც მრავალ წლობით უიმედო ნატვრად დასტრიალებდა თავს სამშობლოს სიამაყის აღდგენის წარმტაცი ოცნება:

აგრეთვე ისინი, ვისი ნორჩი ფიქრი აღიზარდა და [მომწიფდა თავისუფლების მძლავრი ქროლვის დროს—ვისთვისაც სამშობლო წარმოუდგენელია, თუ არ დამოუკიდებლობის ნათელი სხივით მოსილი.

იქ, ჩვენი ქვეყნის შვილთა სისხლით მორწყულ საზღვრებზე, სდგას ერთი აზრით, ერთი გრძნობით გადაჯაჭვული საქართველო. იქ სახელოვანი, მაგრამ უდროო სიკვდილის მოლოდინში არიან, ვინც სამარცხვინო, ნაძრახ სიცოცხლეს ვერ შეურიგდება. მრავალმა დახუჭა სამუდამოთ სიცოცხლის წყურვილით ანთებული თვალები.

მრავალი დასახიჩრდა, მრავალი სულითა და სხეულით დასნეულდა გამოუბრუნებლათ.

იმათგან უნდა ისწავლოს ჩვენმა საზოგადოებამ მოვალეობის ასრულება.

აქაც ერთი მძლავრი აზრით და გრძნობით უნდა გაიმსჭვალონ საქართველოს შვილნი—ყველანი განურჩევლათ.

ქართველი საზოგადოება არ უნდა გაექცეს მსხვერპლს, უმცირეს მსხვერპლს, იმ ფასდაუდებელ მსხვერპლის წილ, რომელსაც მას ფრონტი სწირავს.

**ფრონტის დღეს** საზოგადოების ყოველმა წევრმა უნდა გაიღოს, რის გაღებასაც შესძლებს—ფული, პაპიროსი, სურსათი.

**ფრონტის დღის** მოსაწყობ საორგანიზაციო მუშაობაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ყველამ, ვისაც ცოტაოდენი უნარი მაინც შესწევს.

მივაწვდინოთ ფრონტს ჩვენი სიყვარულისა და მზრუნველობის ხმა.

ფრონტის დღის მოწყობის საორგანიზაციო კრება დანიშნულია პარასკევს, ივნისის 20-ს, საღამოს 6 ს. სასახლეში, ოთახი **№ 13-14**.

დროებითი საორგანიზაციო კომისიის წევრნი: ქრ. შარაშიძის ასული, ექ. მგალობლიშვილი, ი. ცინცაძე, კ. ფოცხვერაშვილი, კაპ. გორგაძე.

---

სამშაბათს 17 ივნისს საღამოს 6 საათზე სასახლეში შესდგა „ფრონტის დღის" მოსაწყობად მოწვეული კრება, რომლის მიზანია, გაუწიოს ნივთიერი და მატერიალური დახმარება ფრონტზე მეომარ ლაშქარს და გვარდიას. კრებას დაესწრენ შემდეგ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები: დამფუძნებელი კრების, ქალაქის გამგეობის და საბჭოსი, გვარდიის მთავარი შტაბის, სამხედრო სამინისტროსი, ქართულ წითელი ჯვრის საზოგადოების, პროფესიონალურ საბჭოსი, გვარდიის ყველა კოლლექტიურ სარაიონო შტაბების და სხვათა.

აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ აირჩია დროებითი „ფრონტის დღის" მომწყობი კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი პირნი: დამფუძნ. კრების წევრი ჩიტო შარაშიძის ასული, მგალობლიშვილი, ცინცაძე, კოტე ფოცხვერაშვილი და პორ. ვ. გორგაძე. დროებითი „ფრონტის დღის" მომწყობი კომისია იწვევს ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და პარტიათა წარმომადგენლების საერთო კრებას სასახლეში პარასკევს, 20 ივნისს საღამოს 6 საათზე.

---

# ხალხთა ლიგა

(დასასრული)

### არბიტრაჟი.

**13 მუხ.** ლიგის წევრნი თანახმანი, არიან, რომ მათ შორის ჩამოვარდნილი დავა, რომელიც მათის აზრით შეიძლება გადაწყდეს საარბიტრაჟო წესით და რომელიც დიპლომატიურის გზით დამაკმაყოფილებლად ვერ გადაწყდება სრულად არბიტრაჟს გადაეცეს.

შესაძლებელია არბიტრაჟს მიენდოს გადაწყვეტა დავისა ხელშეკრულობის, ან საერთაშორისო უფლების, რომელიმე მუხლის ახსნაგანმარტების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, მართლა მოხდა ესა თუ ის ფაქტი, რომელიც თუ დამტკიცდა, შეადგენს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევას. არბიტრაჟს შეუძლიან აგრეთვე გადასწყვიტოს რაოდენობა იმ ჯილდოისა, რომელიც მეორე მხარეს უნდა მიეცეს ასეთ დარღვევისათვის.

საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელსაც დავა უნდა გადაეცეს, წარმოადგენს სასამართლო, რომელიც არჩეულია დაინტერესებულ მხარეთაგან, ან ნაგულისხმევია მათ წინანდელს კონვენციებში.

ლიგის წევრნი მოვალენი არიან კეთილსინდისიერად შეასრულონ გამოტანილი განაჩენები და ომს არ მიმართონ ლიგის იმ წევრთა წინააღმდეგ, რომელნიც განაჩენებს დაემორჩილებიან, თუ რომელიმე წევრი განაჩენს არ შეასრულებს, მაშინ საბჭო ისეთს ზომებს იღებს, რომელიც უზრუნველყოფს მის შესრულებას.

### სასამართლო.

**14 მუხ.** საბჭოს ევალება შეადგინოს მუდმივი საერთაშორისო სასამართლოს პროექტი და წარუდგინოს ლიგის წევრებს.

ეს სასამართლო გაარჩევს საერთაშორისო ხასიათის დავას, რომელსაც მხარეები წარუდგენენ, იგი აგრეთვე თავის სათათბირო დასკვნას მიაწოდებს ყოველგვარ დავისა და საკითხის შესახებ, რომელსაც მას წარუდგენს საბჭო ან კრება.

### დავის გარჩევა კრებისაგან საბჭოს მიერ.

**15 მუხ.** ლიგის წევრნი თანახმანი არიან, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ შორის ისეთი დავა დაიბადება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს განხეთქილება და რომელიც არ არის გადაცემული საარბიტრაჟო წესის გადასაწყვეტად, როგორც ეს აღნიშნულია მე-13 მუხლში, დავა გასარჩევად გადაეცეს საბჭოს ამისთვის საკმარისია, ერთმა რომელიმე მათგანმა ამ დავის შესახებ მთავარ მდივანს აცნობოს, რომელიც ყოველგვარ განკარგულებას მოახდენს მის გამოსარკვევად და განსახილველად სულ მცირე ხანში. მხარეებმა უნდა წარადგინონ ანგარიშები თავიანთ საქმის შესახებ ყოველ გვარ ფრაქციებით და გასამართლებელ საბუთებით. საბჭოს ნება აქვს უბრძანოს მათ დაუყონებლივ გამოქვეყნება.

საბჭო ყოველგვარ პირობას ასახელებს, რათა დავის გადაწყვეტა უზრუნველჰყოს.

თუ მიზანს მიაღწია, მაშინ საბჭო აქვეყნებს, იმის და მიხედვით, თუ როგორ დაინახავს საჭიროდ, ფაქტებს შესაფერ განმარტება-ახსნით და დავის გადაწყვეტის პირობებს. თუ დავა გადაუწყვეტავი რჩება, მაშინ საბჭო ადგენს და აქვეყნებს მოხსენებას, როდესაც საბჭო იღებს ერთხმად ან ხმის უმეტესობით. მოხსენებაში აწერილია დავის შინაარსი და ის განაჩენი, რომელიც საბჭოს აზრით ყველაზე უფრო სამართლიანი და ყველაზე უფრო შესაფერისი იქნება ამ შემთხვევაში.

ლიგის ყველა წევრს, რომელიც საბჭოშია წარმოდგენილი, აგრეთვე ნება აქვს გამოაქვეყნოს დავა და თავისი დასკვნანი.

თუ საბჭოს მოხსენება მიღებულია ერთხმად-მხარეების წარმომადგენელთა ხმა არ ითვლება მაშინ ლიგის წევრნი პირობას სდებს ომს აღარ მიმართონ არც ერთის მხარის წინააღმდეგ, რომელიც მოხსენების დასკვნას ემორჩილება.

თუ საბჭოს მოხსენება ყველა წევრის მიერ არ არის მიღებული, მაშინ ლიგის წევრნი უფლებას იტოვებენ იმოქმედონ ისე, როგორც მას საჭიროდ მიაჩნია უფლებისა და სამართლიანობის დასაცავად.

თუ ერთი რომელიმე მხარე ამტკიცებს, და საბჭოც რომ დავა ეხება ისეთს საკითხს, რომელსაც საერთაშორისო უფლება აკუთვნებს ამ მხარის განსაკუთრებულ კომპეტენციას, მაშინ საბჭო ამისთვის მოხსენებაში აღნიშნავს დათვით არავითარს თავის გადაწყვეტილებას არ ასახელებს.

საბჭოს შეუძლიან ყოველს ასეთს შემთხვევაში, რომელიც ნაგულისხმევია ამ მუხლში, დავა გადაიტანოს განსახილველად კრებაში.

ამგვარადვე დავის გადატანა კრებაზე შეიძლება აგრეთვე ერთ-ერთის მხარის თხოვნით. ეს თხოვნა გამოცხადებული უნდა იქნეს ორის კვირის განმავლობაში დღიდან დავის დაწყების, ყოველ საქმეში, რომელიც კრებას წარედგინება საბჭოში ამ მუხლის და მე-12 მუხლის დადგენილებანი საბჭოს მოქმედებათა და უფლების შესახებ კრების უფლებათა და მოქმედებასაც შეეხება აქ იგულისხმება, რომ მოხსენებას, რომელიც კრებას წარედგინება საბჭოს წარმოდგენილ ლიგის წევრთა და ლიგის დანარჩენ წევრთა უმრავლესობის თანხმობით (მხარეების გამოკლებით), აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც საბჭოს მოხსენებას, ერთხმად მიღებულს მის წევრთაგან გარდა მხარეების წარმომადგენლებისა.

### სანქცია.

**16 მუხ.** თუ რომელიმე წევრი ლიგისა წინააღმდეგ ვალდებულებისა, რომელიც მიღებული აქვს მე-12, 13 და 15 მუხლით, ომს მიმართავს, იგი ჩაითვლება სამხედრო მოქმედების დამწყებად ლიგის ყველა წევრის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ მოსწყვიტონ მასთან ყოველგვარი სავაჭრო და საფინანსო დამოკიდებულება, აღუკრძალონ თავიანთ მოქალაქეებს ყოველგვარი ურთიერთობა ლიგის იმ წევრის მოქალაქეებთან, რომელმაც ხელშეკრულება დაარღვია და შესწყვიტონ ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა და ლიგის წევრ სახელმწიფოთა თ არა წევრთა მოქალაქეებთან ყოველგვარი სავაჭრო და პირადი დამოკიდებულება.

ამ შემთხვევაში საბჭო მოვალეა ურჩიოს ყველა დაინტერესებულ მთავრობას რაოდენობა სამხედრო და საზღვაო ნაწილებისა, რომლის საშუალებითაც ლიგის წევრებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ შეიარაღებულ ძალას შედგენას, რომლის დანიშნულებაც არის უზრუნველყოს ლიგის მიერ დაკისრებულ ვალდებულებათა პატივისცემა.

ლიგის წევრნი თანახმანი არიან, ერთმანეთს ხელი შეუწყონ ეკონომიურ და ფინანსიურ ზომების განხორციელებაში, რაიც გამომდინარეობს ამ მუხლიდან, რათა მინიმუმამდე შემცირებულ იქმნას ამის გამო მოსალოდნელი ზარალი და უხერხულობანი. ამგვარადვე ისინი ერთმანეთს შეეწევიან წინააღმდეგობის გაწევაში ყოველ საგანგებო ღონისძიებით, რომელიც მიმართულია ხელშეკრულობის დამრღვევ რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ, ისინი ყოველივე საჭირო ზომებს იღებენ, თავის ტერიტორიაზე გავლა [illegible] ლიგის ყოველ წევრს, რომელიც საერთო მოქმედებაში მონაწილეობას იღებს იმ მიზნით, რომ ლიგის მიერ დაკისრებული ვალდებულებათა პატივისცემა უზრუნველჰყოს. ლიგიდან შეიძლება გამორიცხული იქმნეს ითვითეული წევრი, რომელიც ამ ხელშეკრულობიდან გამომდინარე რომელიმე ვალდებულებას დაარღვევს. გამორიცხვა უნდა გადასწყვიტოს ლიგის დანარჩენ ყველა წევრთა ხმით, რომელნიც წარმოდგენილნი არიან საბჭოში.

### დავა, რომელიც ეხება ლიგის გარეშე მყოფს ერთს ან რამდენიმე სახელმწიფოს.

**17 მუხ.** თუ აშტყდარია ორ სახელმწიფოს შორის, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია ლიგის წევრი, ან არც ერთი არ არის, მოწვეულ უნდა იქნან და [illegible] ის ვალდებულებანი შეასრულონ, რომელსაც ლიგა თავის წევრებს აკისრებს, რათა ამ გზით დავა გადაწყდეს სამართლიან პირობებში, რომელსაც საბჭო შეიმუშავებს.

თუ ასეთი მოწვევა მიღებულ იქნება მაშინ საბჭო ხელმძღვანელობს მე-12 და 16 მუხლებით, რომლის [illegible] საბჭო დავის გამორკვევს იწყებს და ისეთს ღონისძიებებს ასახელებს, რომელიც მას ყველაზე უკეთესად და მიზანშეწონილად მიაჩნია ასეთ შემთხვევისთვის.

თუ მოწვეული სახელმწიფო ლიგის მიერ დაკისრებულ ვალდებულებას არ ასრულებს და ომს დაიწყებს ლიგის წევრთა წინააღმდეგ, მაშინ მას ისე მოეპყრობიან, როგორც ეს აღნიშნულია მე-16 მუხლში.

თუ ორივე მხარე უარს ამბობს საბჭოს წინადადებაზე, მაშინ საბჭო მოვალეა ყოველგვარ ისეთ ღონისძიებას მიმართოს, რომელსაც შეუძლიან მტრული მოქმედების აცილება და უთანხმოების მშვიდობიანის გზით გადაწყვეტა.

### რეგისტრაცია.

**18 მუხ.** ყოველგვარი ხელშეკრულობა, ან საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც მომავალში მოხდება ლიგის წევრთა შორის, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სეკრეტარიატს და გამოქვეყნებულ იქნას პირველ [illegible]. არც ერთ ასეთ ხელშეკრულობას ან შეთანხმებას სავალდებულო ძალა არა აქვს მის რეგისტრაციამდე.

### ხელშეკრულობათა განხილვა.

**19 მუხ.** კრება შეუძლიან დრო გამოშვებით ლიგის წევრებს მოუწვიოს იმ ხელშეკრულობათა განხილვისათვის, რომელნიც [illegible] ვისი დრო მოსჭამა, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობათა შესაცვლელად, რომლის [illegible] შენარჩუნებამ შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოს მშვიდობიანობის საფრთხეში ჩაგდება.

### შეთანხმებანი რომელიც ხელშეკრულობას ეწინააღმდეგება.

**20 მუხ.** ლიგის წევრნი აღიარებენ, რომ ეს ხელშეკრულობა უარყოფს ყოველ ვალდებულობას, ან შეთანხმებას, რომელიც მას ეწინააღმდეგება და ვალდებულად თვლიან თავს მომავალში ასეთი პირობანი არ შეჰკრან.

თუ რომელიმე სახელმწიფოს ლიგაში წევ- ად შესვლამდე აქვს დადებული პირობა, ომელიც ხელშეკრულობას ეწინააღმდეგება, შინ მან დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ღო- ძიებანი ამგვარ დებულობიდან თავის ახსნელად.

**თანხმებანი, რომელიც ხელშეკრულობას არ ეწინააღმდეგება.**

21 **მუხ.** საერთაშორისო შეთანხმებანი, მა- ლითად საარბიტრაჟო ხელშეკრულობანი, ადგილობრივი შეთანხმებანი, როგორიც ონროს დოქტრი, რომელიც მშვიდობიანო- ს უზრუნველყოფს, არ ეწინააღმდეგება ამ ელშეკრულებას.

**მანდატები.**

22 **მუხ.** შემდეგი პრინციპები შეეხება ალშენს და იმ ტერიტორიებს, რომელნიც ამ მიზეზით აღარ არიან სახელმწიფოთა ვერენიტეტის ქვეშ და რომლის ხალხიც მზადებული არ არის დამოუკიდებელ თვითმართველობისთვის, განსაკუთრებით დღევანდელ მძიმე პირობებში ამ ხალხთა კეთილდღეობა და განვითარება ცივილიზაციის წმიდათა მოვალეობას შეადგენს და ამიტომ საჭიროა ამ ხელშეკრულობაში შეტანილ იქნას გარანტია ამ მოვალეობის შესრულებისა.

ამ პრინციპის პრაქტიკულად განსახორციელებლად ყველაზე უკეთესი მეთოდი ის არის, რომ ამ ხალხთა აპეკა მიენდოს ისეთს ხალხებს, რომელთაც თავიანთის საშუალებით, გამოცდილებით და გეოგრაფიულ მდგომარეობით უფრო შეუძლიან პასუხისმგებლობის ება, ამ აპეკის განხორციელება შეიძლება მანდატით, ან ლიგის სახელით.

მანდატის ხასიათი სხვა და სხვა ნაირი უნდა ის ამ ხალხის განვითარებისა, გეოგრაფიულ მდგომარეობისა, ეკონომიურ პირობათა სხვა ასეთ გარემოებათა მიხედვით.

ზოგიერთი კუთხე, რომელიც ოდესღაც ოსმანიის იმპერიას ეკუთვნოდა, ახლა იმდენად განვითარდა, რომ შეიძლება აღიარებულ იქნეს მათი დამოუკიდებელი არსებობა, როგორც ხალხებისა იმ პირობით, კი რომ ისინი მანდატორის რჩევა-დარიგებით და დახმარებით სარგებლობდნენ იმ დრომდე, ვიდრე ისინი თვით შესძლებდნენ დამოუკიდებელ თვითმართველობას. მანდატორის არჩევის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ამ ქვეყნების სურვილი.

სხვა ხალხის განვითარების საფეხური კი, მაგალითად შუა აფრიკისა მოითხოვს, რომ მანდატორმა ხელში აიღოს მართვა-გამგეობა ტერიტორიის იმ პირობით, რომ ერთის მხრით უზრუნველყოს სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლება და მეორე მხრით აღკვეთოს ბოროტმოქმედებანი, მაგალითად მონებითა, იარაღითა და ალკოჰოლით ვაჭრობა, და არ მისცეს აგონ სიმაგრენი ან გაამაგროს სამხედრო და საზღვაო ბაზრები, აღუკვეთოს მკვიდრთა სამხედრო განათლების მიღება, გარდა იმისა, რაიც საჭიროა საპოლიციო სამსახურისთვის, ან ტერიტორიის დასაცავად ამასთანავე ლიგის დანარჩენ წევრთათვისაც ერთგვარად უზრუნველი უნდა იყოს თანასწორობა ვაჭრობასა და საქონლის ცვლაში.

და ბოლოს არის ისეთი ტერიტორიებიც, მაგალითად სამხრეთ დასავლეთი აფრიკა, ან ზოგიერთი კუნძული წყნარ ოკეანეს სამხრეთ ნაწილისა, რომელიც ხალხისა და ტერიტორიის სიმცირისა, ცივილიზაციის ცენტრზე დაშორებისა და მანდატორის ტერიტორიის ახლოს მდებარეობის გამო შეიძლება უფრო კარგად იყოს მოწყობილი მანდატორი-სახელმწიფოს კანონებით, როგორც მისი ტერიტორიის ნაწილი იმ პირობით კი, რომ დაცული იყოს ზემოხსენებული პრინციპები მკვიდრთა ინტერესების დასაცავად.

ყოველ ასეთს შემთხვევაში მანდატორმა საბჭოს უნდა გაუგზავნოს ყოველ წლიურად ანგარიში იმ ტერიტორიის შესახებ, რომელსაც იგი განაგებს.

თუ მანდატორის უფლებისა, კონტროლისა და მართველობის შესახებ წინადვე არ მომხდარა შეთანხმება ლიგის წევრთა შორის, მაშინ თვით საბჭომ უნდა გამოიტანოს დადგენილებანი ამ საკითხების შესახებ.

მანდატორის ანგარიშების განსახილველად და საბჭოსთვის თავის დასკვნის მიწოდება მუდმივ კომისიას მიენდობა.

**საერთაშორისო მართველობა.**

23 **მუხ.** ლიგის წევრებს მხედველობაში აქვს საერთაშორისო კონვენციას დღევანდელ და მომავალი დადგენილებანი და ამიტომ

ა) ყოველ ღონისძიებას მიიღებენ, რომ დაცულ იქნას სამართლიანი და კაცთმოყვარული პირობანი შრომისა მამაკაცთა, დედაკაცთა და ბავშვთათვის, როგორც თავის ტერიტორიაზე, აგრეთვე იმ ქვეყნებში, სადაც ვრცელდება მათი სავაჭრო და სამრეწველო დამოკიდებულებანი. ამ აზრით აარსებენ და ინახავენ თავის ხარჯით საჭირო საერთაშორისო ორგანიზაციებს,

ბ) ვალდებულნი არიან დაიცვან სამართლიანი მოპყრობა იმ ტერიტორიის მკვიდრთან, რომელსაც ისინი განაგებენ,

გ) ლიგას ავალებენ საერთო კონტროლი გაუწიოს შეთანხმებას ქალებისას, ბავშვებისა და ოპიუმით ვაჭრობის აღკრძალვის შესახებ,

დ) უნდა გამოსცენ დადგენილებანი, რომელიც უზრუნველჰყოფს ტრანზიტისა და მისვლა-მოსვლის თავისუფლების და ლიგის წევრთა სამართლიან სავაჭრო რეჟიმს; მხედველობაში მიღებულ უნდა იქმნას განსაკუთრებული საჭიროებანი 1914—1918 წლის ომით განადგურებულ ოლქებსა და

ე) მიიღებენ წინასწარ საერთაშორისო ხასიათის ღონისძიებებს ავადმყოფობათა წინააღმდეგ.

**საერთაშორისო ბიურო.**

24 **მუხ.** ყველა საერთაშორისო ბიურო, რომელიც დაარსებულია წინად კოლექტიურ ხელშეკრულობებით, ლიგის უფლების ქვეშ უნდა გადავიდნენ, თუ ამის თანახმანი იქნებიან. ასევე იქნებიან იმ კომისიები და ბიუროები, რომელიც შემდეგში დაარსდება საერთაშორისო ხასიათის საქმეების გადასაწყვეტად.

ყოველგვარ საერთაშორისო ხასიათის საკითხების შესახებ, რომელსაც აწესრიგებს საერთო კონვენციები და რომელნიც საერთაშორისო კონტროლის ქვეშ არ არიან დაყენებულნი, საბჭო ცნობებს ჰკრებს, თუ ამას მხარეები მოისურვებენ და საბჭოც თანხმაა და აძლევს შესაფერ რჩევა დახმარებას.

საბჭოს დადგენილებით სეკრეტარიატის ხარჯად შეიძლება ჩაითვალოს იმ ბიუროებისა და კომისიების ხარჯი, რომელიც ლიგის გამგებლობაშია.

**წითელი ჯვარი.**

25 **მუხ.** ლიგის წევრნი მოვალენი არიან ხელი შეუწყონ ეროვნულ ორგანიზაციებს წითელ ჯვრისას, რომლის მიზანიც არის ჯანმრთელობის დაცვა, ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა და ქვეყნის ტანჯვათა შემსუბუქება.

**რევიზია.**

26 **მუხ.** ამ ხელშეკრულობის შესწორებანი ძალაში შედის მხოლოდ ლიგის იმ წევრთა მიერ რატიფიკაციის შემდეგ, რომელთა წარმომადგენელნიც საბჭოში არიან და იმ წევრთა ხმის უმრავლესობით, რომელნიც კრებას შეადგენენ.

ლიგის წევრს უფლება აქვს შესწორება არ მიიღოს. ამ შემთხვევაში იგი თავს ანებებს ლიგის წევრობას.

**ხელშეკრულობის დამატება.**

ხალხთა ლიგის პირველი წევრნი ის სახელმწიფონი არიან, რომელთაც ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

ამერიკის შეერთებული შტატები, ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, ბრიტანიის იმპერია კანადა, ავსტრალია, სამხრეთი აფრიკა, ახალი ზელანდია, ჩინეთი, კუბა, ეკვადორი, საფრანგეთი, საბერძნეთი, კვატემალა, გაიტი, გეჯასი, გინდურასი, იტალია, იაპონია, ლიბერია, ნიკარაგუა, პანამა, პერუ, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინია, სერბია, სიამი, ჩეხოსლავაკია, ურუგვაი.

სახელმწიფონი, რომელნიც მოწვეულ არიან ხელის მოსაწერად.

არგენტინის რესპუბლიკა, ჩილი, კოლუმბია, დანია, ნიდერლანდები, ნორვეგია, პარაგვაი, სპარსეთი, სალვადორა, ესპანია, შვეცია, შვეიცარია და ვენეცუელა.

# თვითმართველობათა საყურადღებოდ

**საჭიროა თუ არა ჩვენში საქონ. ექიმი?**

რამოდენიმე თვე გავიდა მას აქეთ, რაც საქართველოს ყველა ერობებმა მოიწვიეს სამსახურში საქონლის ექიმები.

რას აკეთებდნენ ეს სპეციალისტები „უწინ“ და რას უნდა აკეთებდენ ეხლა?

როგორც ყველამ იცის, უწინ საქონლის ექიმებს დასავლეთ საქართველოს მშრომელი ხალხი თითქმის ვერც კი იცნობდა, მოუხედავად იმისა, რომ აქ სავეტერინარო განყოფილება თავის მრავალ-რიცხოვანი პერსონალით არსებობდა მთელ მეოთხედ საუკუნეში. აღმოსავლეთ საქართველოში კი იცნობდნენ მათ მხოლოდ როგორც ჭირის წინააღმდეგ ამცრელებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. განვიხილოთ ეხლა, რას წარმოადგენენ და რას უნდა ემსახურებოდენ ეს ექიმები? საქონლის ექიმები არიან აღჭურვილნი უმაღლეს სწავლა-განათლებით და ფიცის დადებით ვალდებულნი არიან იზრუნონ როგორც ყველა შინაურ ცხოველების ჯანმრთელობაზე, ისე მათი მოშენებაზე, გაუმჯობესობაზე და ჰიგიენაზე.

ვნახოთ რას აკეთებენ ჩვენში ეს პირნი?

სადაც საქონლის ჭირი სუფევს, იქ საქონელს უცრიან...

ეს დიდი საქმეა, ამაზე არის დამყარებული ჩვენი სოფლის მეურნეობა ჩვენი მთელი ხალხის ბედ იღბალი... მაგრამ იქ, სადაც საქონელი აცრილია, ან დღის-დღეობით ჭირი არ სუფევს, ან თუ ჭირი მძვინვარებს, ვთქვათ, სოფელი ვერ შოულობს სათანადო ასაცრელ შრატს—მაშინ რას უნდა აწარმოებდენ საქონლის ექიმები?

იმ ქვეყანაში, სადაც შინაური პირუტყვის რაოდენობა უდრის ორ მილიონ თავს, საქონლის ექიმს ბევრი და საპასუხისმგებლო საქმე უნდა ჰქონდეს. რა გეგმით უნდა ხელმძღვანელობდენ ამ საქმეში ეს ექიმები?

მათი მოვალეობაა:

1) ექიმობა სხვა და სხვა პირუტყვისა, როგორც შინაგან ისე საქირურგიო ავადმყოფობისა სხვა და სხვა ჭრილობები, სიკოჭლე, დაშავებანი, მუნი, საბებიო შემთხვევები, პირუტყვის დაკოდვა და სხვა.

**შენიშვნა:** თუ ხალხმა ვერ შეიგნო ამის მოთხოვნილება, ეს უნდა მიეწეროს სავსებით ადგილობრივმ საქონლის ექიმის მოუმზადებლობას და სიზარმაცეს.

2) კარგათ და სათანადოთ საქმის დაყენებით ბრძოლა სხვა და სხვა მატყუარა-ნალბანდსოფლის ექიმებთან, რომელნიც ხშირად აქიმობის მაგიერ სამუდამოთ ასახიჩრებენ ხალხის მარჩენალ პირუტყვს.

3) პოპულიარული სიტყვითის და ბეჭდვითი პროპაგანდა საქონლის მოშენების, გაუმჯობესობის და ჰიგიენის შესახებ.

5) სწორი ყოველ-წლიური რეგისტრაცია შინაური სამეურნეო პირუტყვისა.

6) საურთიერთო პირუტყვთა დაზღვევა ცალკე სოფლებში სხვა და სხვა შემთხვევებისათვის.

7) ზრუნვა მაზე, რომ დაარსდეს ყველა წვრილი ერობების ერთეულებში ცხენის, რქოსან საქონლის (ხარ-კამეჩის და თხა-ცხვარის) და შინაურ ფრინველების გამაუმჯობესებელი პუნქტები, სადაც უნდა იყოლიონ საუკეთესო ჯიშის ვაყები, ბუღები და სხვა; ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა მათი.

8) სანიმუშო ცხენების სამჭედლოების მოწყობა.

9) პირუტყვთა გადამდებ სენებთან ბრძოლის შესახებ ბეჭვდითი და სიტყვითი პროპაგანდა და მათ წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ზომების მიღება.

10) ენერგიული და თავდადებული ზრუნვა მაზე, რომ ყველა ერობებმა დაუყონებლივ შეუდგენ აშენებას საქონლის ექიმების სარეზიდენციოში სათანადოდ მოწყობილ მიკროსკოპიული კაბინეტით პირუტყვთა საავადმყოფოებს.

**შენიშვნა:** ბაქტერიოლოგიის კურსი უნდა გავლილი ჰქონდეს ერობის ექიმებს ქუთაისის ჭირის საწინააღმდეგო სადგურზე.

მაშინ მხოლოდ მადლობას ეტყვის ჩვენი ხალხი, როგორც საქონლის ექიმებს, ისე ერობებს. მაშინ დააფასებს მათ მოღვაწეობას ჩვენი ხალხი.

მ. ფარცვანიძე.

# ერობა

**სენაკის ერობაში.**

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამ გადაწყვიტა 20 ამა ივნისიდან გახსნას ახალ-სენაკში სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის თვე ნახევრიანი კურსები. სავალდებულო მსმენელები, რომლებსაც უკვე დაეგზავნა სათანადო მოწერილობანი, მიიღებენ ერობიდან საჭირო ხარჯს. კურსებზე დასწრება შეუძლიათ სხვა მსურველებსაც.

**ერობის არჩევნები ბორჩალოს მაზრაში.**

შულავერის რაიონში წამოყენებულ იყო 1 სია (სოც.-დემოკრ. პარტიისა). სიაში შეტანილ იყო 4795 კაცი. ხმა მისცა 1972 კაცმა.

ბორჩალოს რაიონში წამოყენებულ იყო 3 სია (სოც.-დემ. პარტიის, „გუმბეტის“ და ისევ სოც.-დემ.) ამომრჩეველნი სიებით იყვნენ 6709 კაცი, ხმა მისცა 2642 კაცმა № 1-ს 1806 სულმა № 2 713 სულმა და № 3, სოც.-დემ. 125 სულმა.

ეკატერინენფელდის რაიონში სულ 3 სია იყო წარმოდგენილი № 1-სოც.-დემ. № 2-სოციალისტ-ახალშენების ჯგუფისა და № 3-გლეხთა ჯგუფისა. ამომრჩეველნი იყო 8909 სული. მიიღო მონაწილეობა 3075 სულმა, მათ შორის სია № 1-ს მისცა ხმა 1933 სულმა, № 2 ს—692 სულმა და № 3-ს—450 სულმა.

ბაშკიჩეთის რაიონში წარმოდგენილ სიით № 1-ით ითვლებოდა 5625 ამომრჩეველი და ხმა მისცა 2948 სულმა.

წალკის რაიონში არჩევნების შედეგები ჯერ არ არის გამორკვეული.

არჩევნები ზევით აღნიშნულ რაიონებში მოხდა 8 ივნისს, ხოლო წალკის რაიონში კი 15 ივნისს.

# კოოპერატიული ცხოვრება.

**საქართველოს კოოპერატიული ყრილობა.**

**კავშირის მშენებლობა და კოოპერატიული ცენტრი.**

ამ საკითხის განხილვის დროს ყრილობის მიერ ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: 1) საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა იღებს რა მხედველობაში რომ: ა) ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა მოძრაობამ პრაქტიკულად დაამტკიცა უხერხულობა ერთი კოოპერატიული ცენტრისა, ბ) ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის შემადგენლობაში ფაქტიურად საქართველოს კოოპერატივებმა, გ) ყოფილ ამიერ-კავკასიის ყველა ეკონომიურ ერთეულებში ბუნებრივად ჩამოყალიბდა ადგილობრივი ცენტრები, დ) ამიერ-კავკასიის ტერიტორია ჩამოყალიბებულია სამ პოლიტიკურ ერთეულად, საჭიროდ სცნობს მოხდეს ლიკვიდაცია ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა და დაარსდეს საქართველოს კოოპერატივთა კავშირი. მიღებულ იქმნა აგრეთვე შემდეგი დადგენილება: ეთხოვოს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობას მოიწვიოს მან ხსენებულ კავშირის წევრთა რწმუნებულების საგანგებო ყრილობა კავშირის რეორგანიზაციის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტათ. ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რომ საქართველოს მომავალი კოოპერატივთა კავშირი შევიდეს წევრად საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირში.

**საკოოპერაციო ფინანსები.**

ამ საკითხის გარშემო ხანგრძლივი კამათი სწარმოებდა, ორი სხდომა მოახმარა ყრილობამ მის განხილვას და შემდეგი დადგენილებანი გამოიტანა:

1) საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა იღებს რა მხედველობაში, რომ კონკურენცია კაპიტალისტურ დაწესებულებებთან შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოოპერაციას ექნება საგრძნობლად დიდი საკუთარი თანხები, რომ საქართველოს კოოპერატიულ ორგანიზაციების განკარგულებაში მხოლოდ მცირე თანხებია—ყრილობა სასურველად აღიარებს, რომ საკუთარი თანხების შექმნა კოოპერატივების მუდმივ საზრუნავს საგანს უნდა შეადგენდეს და განსაკუთრებით ეს უნდა ხდებოდეს ამ გარდამავალ ხანაში, როდესაც კაპიტალისტური დაწესებულებანი ომის შემდეგ ეცდებიან დაიბრუნონ კვლავინდებური უპირატესობა სახალხო მეურნეობაში.

2. კოოპერატივებს ავანსები უნდა შექონდეთ სარაიონო კავშირებში, ხოლო ამ უკანასკნელთ ცენტრალურ კავშირში:

ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის დღევანდელი მდგომარეობა, რომ სარაიონო კავშირებს ჰმართებთ ცენტრალურ კავშირისა, ვინაიდან ასეთი მდგომარეობა აფერხებს კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებას.

3) ყოველგვარი საშუალებით უნდა შევიტანოთ ხალხში ის შეგნება, რომ თავისუფალი ფული შესანახად შეიტანონ კოოპერატიულ დაწესებულებებში.

4. კოოპერატივებმა ბანკებიდან სესხის აღებად უნდა მიმართონ უმთავრესად საკრედიტო კოოპერატიულ დაწესებულებებს.

5. სასურველად უნდა ჩაითვალოს სააქციონერო ფორმა კოოპერატივების თანხების შედგენისა იმ პირობით კი, რომ პრინციპი ბევრხმანობისა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, კოოპერატიული აქციები განაწილებულ იქნას კოოპერატიულ დაწესებულებათა შორის, და რომ ეს აქციები არ გადავიდეს კერძო პირთა ხელში.

6. საობლიგაციო სესხის აღება ყრილობას სასურველად მიაჩნია. კერძო კაპიტალის მონაწილეობა კოოპერაციაში შეიძლება მხოლოდ ობლიგაციების წესით.

საობლიგაციო სესხი საჭიროა კოოპერატივისთვის ხანგრძლივ ასანაზღაურებელ ხარჯების დასაფარავად.

7. ყრილობა იწონებს მოსკოვის სახალხო ბანკის ტფილისის განყოფილებასთან არსებულ მიმღები კომიტეტის მიერ შემუშავებულ დებულებებს ამ განყოფილების შესახებ.

8. ყრილობა იწონებს მოსკოვის სახალხო ბანკის ტფილისის განყოფილების მოსაზრებას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინადადების შესახებ საგანგებო თანხის შექმნისა და ადგენს, რომ ამ თანხაში უნდა ჩაირიცხოს ყველა თანხები, რომელიც შემოუვიდა ბანკის განყოფილების რაიონში მყოფ კოოპერატივების მიერ შეძენილი აქციებით; ამავე საგანგებო თანხაში უნდა ჩაირიცხოს ის თანხებიც, რომლებიც განყოფილებას შემდეგშიც შემოუვა ამავე რაიონის კოოპერატივების მიერ შეძენილ აქციებით;

9. სასურველია, რომ ყველა კოოპერატივებმა შეიძინონ მოსკოვის სახალხო ბანკის არა ნაკლებ ორი აქციისა და რომ კავშირებმა ეხლავე შეიძინონ აქციები მოკავშირე კოოპერატივების ანგარიშით. აქციების შეძენის დროს უნდა ისარგებლონ სპეციალური 6% სესხით.

10. სასურველია დაარსდეს სარაიონო შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობითა კავშირები.

11. დაარსდეს საქართველოს კოოპერატიული ბანკი.

12. კოოპერატიული ბანკის დასაარსებლად შესდგეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც უნდა შევიდეს სამი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა, და თითო წარმომადგენელი სარაიონო კავშირებისაგან. ამ რიცხვში შედის თითო წარმომადგენელი მოსკოვის ბანკისა და კახეთის კავშირისა.

13. საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმი უნდა შესდგებოდეს ხუთი პირისაგან. პრეზიდიუმს ირჩევს საქართველოს კოოპერატიული ყრილობა. შესდგება არჩევნები უკანასკნელ მუხლში ნაჩვენებ პრეზიდიუმისა და ერთხმად არჩეულ იქმნენ: 1) ვ. მილაშევსკი, 2) ვ. ღლონტი, 3) გრიგოლია, 4) შ. გოგებაშვილი და 5) ი. ცაგარელი.

მათ დაევალათ დაუყონებლივ შეუდგნენ წინასწარ მუშაობას, დაამზადონ მასალები და ახლო მომავალში მოიწვიონ საორგანიზაციო კომიტეტის კრება ბანკის დაარსების განსახორციელებლად.

უკანასკნელი სხდომა შესდგა მაისის 29-ს ყრილობის სახელზე მოსული ფინანსთა მინისტრი კ. პ. კანდელაკის საპასუხო წერილი იქმნა წაკითხული, რასაც ყრილობა ტაშით შეხვდა.

შემდეგ განხილულ იქმნა კითხვა იმის შესახებ—ამორჩეულ იქმნეს ყრილობის მიერ საქართველოს კოოპერატიულ ყრილობათა საბჭო თუ არა.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა დადგენილება: „თანახმად წარსულ კრებაზე ყრილობის მიღებულ დადგენილებისა არსდება საქართველოს კოოპერატიულ ყრილობათა საბჭო: კრება ირჩევს 5 პირისაგან შემდგარ ბიუროს, რომელსაც ევალება საბჭოს წესდების შემუშავება და მის ფარგლებში მუშაობა მომავალ ყრილობამდე. ბიუროს გარდა, ყრილობათა საბჭოში შედიან თითო წარმომადგენელი რაიონებისაგან.

საქართველოს კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს ბიურო შედის ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოში“.

საქართველოს კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს ბიუროში ხმის უმრავლესობით არჩეულ იქმნენ: 1) გრიგოლია, 2) ვ. ღლონტი, 3) შ. გოგებაშვილი, 4) გ. წინამძღვარიშვილი, 5) ი. კახელაძე. მათ კანდიდატებათ: 1) გ. ნაცვლიშვილი, 2. თ. ღლონტი.

ყრილობის ერთმა ჯგუფმა შემოიტანა შემდეგი წერილობითი განცხადება: „საქართველოს კოოპერატიულ ცენტრის და კავშირის შესახებ ყრილობამ გამოსთქვა თავისი სურვილი და ნების ყოფა სახალხო კოოპერატიულ ბანკის დაარსების გარდაუწყვეტილებით—მაგრამ, ვიღებთ რა მხედველობაში, რომ: 1. კოოპერატიულ ბანკის დაარსება და მოქმედების დაწყება მოითხოვს დიდ დროს, ენერგიის და მრავალგვარ მატერიალურ თუ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გადალახვას, 2. მომხმარებელი საზოგადოებანი შედარებით საკრედიტო კოოპერატივებთან უკეთ არიან შეკავშირებულნი და მათი არსებული ცენტრი უწევს შესაწყვ ხელმძღვანელობის იდეურს და ტეხნიკურ. 3. საკრედიტო კოოპერატივების უმრავლესობა, სრულიად უკანტროლოდ და უხახიროდ დატოვებულნი, განიცდიან მძიმე ხანას. რაც ბევრს მათგანს დასუსტებას უქადის ყრილობამ საჭიროდ აღიარა დღეიდანვე დაარსდეს ორგანო, საკრედიტოს კოოპერატივთა ხელმძღვანელი, საკრედიტო დაწესებულებათა ორი კავშირის სახით, სახელდობრ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს“. ყრილობამ ეს განცხადება მიიღო ცნობად და ვინაიდან უკვე ჰქონდა ამ საკითხის შესახებ პრინციპიალური დადგენილება, მის განხილვაში აღარ შევიდა.

ამით დასრულდა საქართველოს პირველი კოოპერატიული ყრილობა. ყრილობამ გახსნის დღეს მისალმების დეპეშები გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას, მთავრობის თავმჯდომარეს, ფინანსთა მინისტრს და სხვა.

# უცხოეთში

### ინგლისური პრესა

—პარიზში გაფიცვები გათავდა. პარასკევს კლემანსომ ინახულა ჯერ გაფიცულთა და შემდეგ ქალ. პარიზის და მუშების წარმომადგენელნი. ზოგი პირობა მისაღებად იქნა აღიარებული და ზოგი კი უყურადღებოდ დასტოვა. კლემანსო გაფიცულთა მამულიშვილურ გრძნობას მიმართავდა და შეაგნებინა მათ სრული ერთობის საჭიროება.

### იტალიური პრესა

**სტოკჰოლმი.** „ავტონბლადეტ“-ი იუწყება, რომ ინგლისის საზღვაო დივიზია ყუმბარებს უშენს ქ. კრონშტადტს, საიდანაც პასუხი არ გაუციათ, კრონშტადტის ახლო ბოლშევიკებმა ნაღმები ჩააწყეს, რათა დესანტის გადმოსხმას ხელი შეუშალონ. ფიქრობენ, რომ ბოლშევიკები ქალაქს დასცლიან.

**რომი,** ივნისის 19. სენატი მოიწვიეს. მეფემ ორლანდო მიიღო.

### ფრანგული პრესა.

თოხთა საბჭომ დაამთავრა თავისი მუშაობა, ხელშეკრულებას გერმანელებს ორშაბათს გადასცემენ. ახალ ტექსტში არაფერია შეცვლილი ზარალი ანაზღაურების და მისი რაოდენობის შესახებ. რეინის მარცხენა ნაპირის ოკუპაცია ძალაში რჩება, ხოლო ოლქის ადმინისტრაცია თვითმართველობების ხელში იქნება. ხელშეკრულება რაოდენამდე იმედს იძლევა, რომ გერმანია ახლო მომავალში იქნება მიღებული ხალხთა ლიგაში, სადაც ისინი თანაბარ უფლებებით ისარგებლებენ, განსაკუთრებით ეკონომიურ საკითხებში; ხელშეკრულების თანახმად, საზავო მოლაპარაკების დასრულების შემდეგ დაიწყება საყოველთაო განიარაღება, მაგრამ ამის შესახებ დანამდვილებითი ცნობები ჯერ არ არის.

გაზეთებს დღეს საღამოთი ოფიციალურად აუწყებენ გერმანელთა კონტრ-წინადადებებს, ხვალ საღამოთი კი-მოკავშირეთა პასუხს. მემორანდუმი შესდგება, ფურცლის მეოთხედის ზომის 50 გვერდისაგან.

ბლოკადის უმაღლესმა კომიტეტმა გუშინ იმსჯელა იმ გადამწყვეტ ზომებზე, რომლებსაც უნდა მიმართონ თუ მდგომარეობა შეიცვალა.

მარშალ ფოშის ულტიმატუმის გამო გუშინ განაახლეს გერმანიის ტერიტორიაზე პოლონეთის ჯარის გადაზიდვა.

კლემანსოს ჩარევის წყალობით პარიზში ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა დამთავრდა.

### ცნობები მოსკოვიდან.

**ბერლინი,** ივნ. 9. ბერლინში ივნისის 7 მხოლოთ ორი გაზეთი გამოვიდა და ისიც შემოკლებული. ტრამვაის მოძრაობა სრულიად შესწყდა. ფოსტაშიც ნაწილობრივი გაფიცვაა.

**პარიზი,** ივნის. 16. ვარშავიდან შემდეგი ცნობა მოვიდა, გალიცია ვოლინის ფრონტზე, ტუმაშის რაიონში მდ. დნესტრის ჩრდილოეთით ჩვენ უკრაინის რაზმს ვებრძვით. გენერალ პაულენკოს ჯარმა დაპირება დაარღვია და ლიპსთან და ეზერნასთან იერიში მოიტანა. ბრძოლა გრძელდება

**ნაუენი,** ივნის. 16. გაზ. „ლეივსკი ვესტნიკ“ შემდეგს იუწყება: პოლონეთის მთავრობამ უკრაინელებისა და ებრაელების წინააღმდეგ გამანადგურებელი ომი დაიწყო. ყველგან სამხედრო სასამართლო შემოიღეს, დამსჯელი ექსპედიცია გაძლიერებულია. სოფლად და ქალაქად უკრაინის ინტელიგენტებს აპატიმრებენ და გამოუძიებლათ ხვრეტენ. ყველა უკრაინელი გაზეთები დახურეს. უკრაინის რკინის გზის ფოსტის მოსამსახურეები დააპატიმრეს.

# სხვა და სხვა.

◆ ხუთშაბათს, 19 ივნისს, 5 საათზე დანიშნულია პირველი რეპეტიცია კაპელასი ქართ. სამუსიკო სკოლის შენობაში, სლეპცოვის ქ. № 4. ეს მომღერალთა სამაგალითო გუნდი შესდგება დარჩეულ ხმებისაგან მოსწავლეთა მომღერლებისაგან, რომელიც დაარსა ქართ. სამუსიკო საზოგადოებამ და ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა.

◆ კვირას, 22 ივნისს საღამოს 5 საათზე საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის ბინაზე (მიხეილის პროსპ. № 139). შესდგება ამავე კავშირის წევრთა საერთო კრება. განსახილველია გადაუდებელი საკითხები. წევრებს ვსთხოვთ ამ კრებას აუცილებლივ დაესწრონ.

◆ ბაზრის ქუჩაზე მცხოვრებ ზ. ზარნაძემ მილიციაში განაცხადა, რომ 16 ივნისს ნაშუადღევის 3 საათზე მისი ბინიდან მოიპარეს სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები. ეჭვით დააპატიმრეს მ. მურაზიანცი.

◆ იაზონის ქუჩაზე მცხოვრებმა დავიდოვმა მილიციაში განაცხადა, რომ 16 ივნისს საღ. 10 საათზე მისი ბინიდან მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები 1500 მანეთისა.

◆ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ს № 11, 31 მაისი 1919 წ. მუნიციპალური ცხოვრების განყოფილებაში მოთავსებული ოზურგეთის ქალაქის საბჭოს ანგარიში—შეცდომით მოხსენებულია ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობის სახელით.

◆ დაამთავრეს თბილისის მთავრობის კომერციული სასწავლებელი და მიიღეს სიმწიფის ატტესტატი: აბულიანცი გარეგინ, ავაჯანიანცი ალექსანდრე, ბიტ-ასლან დავიდ, გოგობერიძე გიორგი, დუნიამალიანცი არტაშეს, იოსებაშვილი გიორგი (ოქრ. ჯილდო და კომ. კანდ.) კობახიძე მიხეილ (ოქ. ჯილდო და კომ. კანდ.), მიხაილიან ევგენი, მიხაილიდი პროკოფი, მჟერიანც ოგანეს პეტროსიანცი ვაგარშაკ, პროკოფიევი ლევი, რიჟამაძე მელენტი; როსტომიანცი შავარშ, სულხანიანც ოგანეზ, ტალიანცი ვარტკეს, ტარიანცი გიორგი, ელისაშვილი იოსებ და იაკიმიდი იოაკიმ.

◆ საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით 16 ივნისს ქართულ კლუბის დარბაზში ტფილისში მყოფ ადერბეიჯანის წარმომადგენელთა საპატივცემლოთ გაიმართა რაუტი, რომელზედაც დაესწრნენ ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში ბ. ვექილოვი. ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯაფაროვი, ადერბეიჯანის სამხედრო მინისტრი ბეხმანდაროვი, საქართველოს რესპუბლიკის ყველა მინისტრები ზოგიერთი წევრები საქართველოს დამფუძნებელ კრებისა და მიწვეული პირები.

◆ 23 მაისის სხდომაზე ქ. თბ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ დაადგინა სანდრო მაისურაძის სახელობით წიგნთსაცავ სამკითხველოს დაარსება. კავშირთა საბჭოსთან ხ ენებულ წიგნთსაცავ სამკითხველოს მოწყობა-მოგვარება საბჭომ დაავალა გამგეობას, რომელშიაც შედიან: ნ. ნაკაშიძე, ე. მაისურაძისა, მექანარე ლომთათიძისა, მახარაშვილი, ს. ჟორჟოლიანი, სულიევი და ნ. წუწუნავა.

გამგეობას პირველი სხდომა უკვე ჰქონდა, აირჩია პრეზიდიუმი და გამოიმუშავა დაახლოვებითი გეგმა მომავალ მუშაობისა. გამგეობას იმედი აქვს საზოგადოებაც ყურადღებით და თანაგრძნობით შეხვდება ამ სიმპატიურ საქმეს და ხელს შეუწყობს მას, რითაც შეეძლება ამ დიადი მიზნის შესაფერ საფეხურზე დასაყენებლათ.

## განცხადებანი

ტფილისის სასამართლო პალატა სას. დებ. მე-382 მუხ. თანახმათ აცხადებს, რომ აღნიშნულ პალატის ნაფიც ვექილთა დადგენილების ნაფიც ვექილთა რიცხვში მიღებული ლეონ გიორგის ძე თუმანოვი, პალატის დეპარტამენტთა 1919 წ. მაისის 17-ს საზოგადო კრების თანახმათ, შეტანილია პალატის ნაფიც ვექილთა სიაში და დაფიცებულია.
930 1—1

დაიკარგა სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა კოოპერატივის წიგნაკი № 2687. მპოვნელს ვთხოვ დაუბრუნოს შემდეგი მისამართით: სასამართლოს ქ. № 69 ბინა 2, ტელეფონი 4—41. 791 3—1

დავკარგე პორტფელი სხვა და სხვა საქმის ქაღალდებით. მპოვნელს ვთხოვ მოიტანოს გუგელის კანტორაში სასახლის პირდაპირ, რისთვისაც მიიღებს ჯილდოთ 200 მ. ლავრენტი გელაშვილი. 795 3—1

ტერ-აკოპოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა კოოპერატივის წიგნაკი № 3234. წიგნაკი გაუქმებულად ითვლება. 785 1—1

კავკასიის სინოდალური კანტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. მარტის 1, კანტორაში შეიტანა თხოვნა ევდოკია სივოპლიასოვამ მის ქმართან გრიგოლ სივოპლიასოვთან განქორწინების შესახებ. გრიგოლ სივოპლიასოვი მიწვეულია სინოდალურ კანტორაში დასარიგებლად და მოწმეების დაკითხვის დროს დასასწრებლად. თუ ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭვდიდან, არ გამოცხადდება გრ. სივოპლიასოვი, საქმის წარმოება გაგრძელდება. 789 1—1

დაკარგულია სახელობითი დროებითი კვ ტანციები აქციონერ ამხანაგობისა „ბა ლახანი“-ს № 17, 18, 19, 20, სულ 4,000 მა აგრეთვე პასპორტი ბერძნის თანაშემწის ა გელ ანდრიას ძე გიზის სახელზე. კვიტანცი ბი და პასპორტი გაუქმებულად ითვლება.
783 3—

იასონ დიმიტრის ძე გოლაძე აცხადებ რომ მან დაჰკარგა პასპორტი მოცემული დ ბა ლაილაშის კომისრის მიერ. პასპორტი გ უქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 790 3—

სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქის, აბ შის უბნის მომრიგებელ მოსამართლე იწ ვევს 11 მარტს 1919 წ. გარდაცვალებულ მცხ. სოფლის ქოლობნის, სენაკის მაზრის დიომიდე სოფრომის ძე ნაჟმარის მემკვიდ რეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლე ბა ნაჟმარის ქონებაზე მე 1241 მუხ. აღნი ნულ ვადაში. 1078 1—

ქ. ტფილისის მესამე უბნის მომრიგებელ მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის გ ორგი გრიგოლის ძის ჯანაშიას მემკვიდრეებ თავის უფლებების წარმოსადგენად გარდაც ვალებულის ქონებაზედ იმ ვადაში, რომ ლიც აღნიშნულია 1241 მუხლში მეათე ტ ნაწილის სამოქალაქო კანონისა. 79

ქ. ტფილისის მესამე უბნის მომრიგებელ მოსამართლე იწვევს სტანისლავა თევდორ ასული ხედოროვსკის მემკვიდრეებს თავის უ ლებების წარმოსადგენათ გარდაცვალებულ ქონებაზედ იმ ვადაში, რომელიც აღნიშნულ 1241 მუხლში მეათე ტ. ნაწილის 1 სამოქ ლაქო კანონებისა. 792 1—

ქ. ტფილისის მე-6 სამომრიგებლო უბნ მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ავეტ გიორგის ძე მანველიანცის მემკვიდრეებს, რა თა მათ განაცხადონ თავისი უფლება მანვე ლიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-124 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 788 1—

გალის უბნის მომრიგებელი მოსამართლე— სუხუმის ოლქისა ექვსის თვის ვადაში დღ დან გამოცხადებისა იწვევს გარდაცვალებუ 1917 წ. სოფელ ოტობაიაში სამურზაყანო მაზრისა ირინე კვატატის ასულის არქანია მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავი უფლება დანარჩენი არქანიას ქონებაზე.
1079 1—

ქ. ტფილისის მე-12 სამომრიგებლო უბნ დავით ელიას ძე ჯაფარიძე აცხადებს, რო მან დაკარგა საფულე, რომელშიაც იყო 1) ფუ ლად 3445 მან. და 2) პიროვნების მოწმობ მოცემული შორაპნის მაზრის სამხედრო ს კრებულოდან და ბრძანება ბ. მიწად-მოქმედ ბის მინისტრის, გაგრის კლიმატიურ სადგუ რის უფროსად დანიშვნის შესახებ. ზემ მოხსენებული საბუთები გაუქმებულად უნდ ჩაითვალოს. 786 3—

ქარელის უბნის, მომრიგებელი მოსამართ ლე, თანახმათ 1401 მ. ს. ს. წ. იწვევს გარ დაცვალებულ ს. ძლევი-ჯვარში (გორის მა ზრა) მცხოვრ. ზურაბ (ზუნი) თომას ძე მ ლაძეს მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თა ვიანთი უფლება მელაძის სიკვდილის შემდ დარჩენილ ქონებაზედ მე-1241 მ. ხამ. კან კრებულში აღნიშნულ ვადაზე. 759 3—

ანა ტათეოსოვ/ს ძე ვართანოვი აცხადებ რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 58 და ბეჯის ჩეკი № 3483. პასპორტი და ჩე გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს დღიდან გა ნცხადებისა. 784 3—

სევერიანე თედორეს ხალინდრავა აცხა დებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი, მიღ ბული ხონის სამხედრო სასწავლებლის კან ცელარიიდან 1910 წ. ატესტატი გაუქმებ ლათ უნდა ჩაითვალოს დღიდან განცხად ბისა. 779 3—

### სენაკის მაზრის

### საერობო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 23 ივნისს, დილის 1 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა „სას მთის“ საზაფხულო-საბალახოთ იჯარით გა მის შესახებ. ვისაც სურს შეჯიბრებაში ლის მონაწილეობა, უნდა გამოცხადდეს ნიშნულ დღეს ქ. სენაკში, სამაზრო გამგე ბასთან, თუ ამ დღეს არ მოხდა, ხელმეორე მოხდება 25 ივნისს. წერილობითი განცხად ბა მიიღება როგორც სენაკში, აგრეთვე ნა ლალევში საერობო გამგეობის სახელზე.

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა.

1089 3—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა
დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე